



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 72

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
30.09.2024

72-06-4-202409301625



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოსო ებილაშვილისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2024 წლის 19 სექტემბრის №75 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - სოსო ებილაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 2000 (ორი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - ბადრი ბედიანაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1000 (ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღლო ანგარიშსწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

სოსო ებილაშვილი - 2000 (ორი ათასი) ლარი, 3/5

ბადრი ბედიანაშვილი - 1000 (ათასი) ლარი, 3/5

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

